ბრძანება

22 აგვისტო 2018 წ. თბილისი № 111/01

თსსუ-ის რექტორის 2018 წლის 27 ივლისის N96/01 ბრძანებაში **„2018/2019** სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან სტუდენტების მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“

ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ, 04.02.2010 ბრძანების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N761/ი (21.08.2018წ) ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება თსსუ-ის რექტორის 2018 წლის 27 ივლისის N96/01, „2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან სტუდენტების მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ II. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველმა თსსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში 2018 წლის 11 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. მოტივირებული განცხადება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;

2. საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

3. სრული ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან;

4. ვაჟებისათვის - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

6. ორი ფოტოსურათი (3X4, ელექტრონული ვერსიაც);

7. ცნობა შეფასებისა და საგამოცდო ეროვნული ცენტრიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასებების შესახებ;"

2. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას.

3. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა და პროტოკოლის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N761/ი (21.08.2018წ) ბრძანება;

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი